

შავი საღამო მონბელიარის ძმთა საფლავებთან

უცხოეთის ამ მიდამოს დაჰფენია მწუხრის თაღი.
ღრო შემდგარა, აღარ ბრუნავს სიცოცხლის და ყოფნის ჩარხი.
სიჩუმე ღვას უსიამო, გულის მშფოთი, შიშის მგვრელი,
კაცთ გონების მომწამლავე, შავი ფიქრის წარმოქმნელი.

მხოლოდ სიო ირგვლივ მქროლი, - არღვევს წამთა მღუმარებას.
სულს აკრთობს და გულს აღელვებს და ამრავლებს მწუხარებას.
ღვთაებრივი ცის ნათელი სამარეებს თავზე ათოვს,
ასე მყარი, უსიცოცხლო, მე საღამო არსად მახსოვს!

აქ ჩემს ახლოს მოძმეთ ლანღებს სძინავთ მარად მოსვენებით.
არც ერთ მათგანს ამ აღგიღზე განა სურდა მოსვლა ნებით?
ყველა ბელმა მოიყვანა წამებითა და ვაი-უით,
ღღეს მათ ძვლები იხრამება უცხო მიწის ჭია-ღუით;

და ღამღამით ამ მიდამოს ღემონი ჰფლობს, უღარაჯებს,
ფერხული აქვთ ბელბებლებს, ეშმაკებსა და აღქაჯებს.
ვხედავ ირგვლივ ჯვრების გყეებს, შავ აკლღამებს, ქვათა ლოღებს,
და სხვა ძალა იღუმალი გასწი – თითქოს მომიწოღებს.

ვგრძნობ, რომ მიაქვს საუკუნეს სიცოცხლე და ჩვენი ბელი
და ვკითხულობ, ასე უღვთოდ რად შემოგვწყრა შემოქმელი?
ამ საღანეს, ცივს და უხმოს, უსინათლოს, სამუღამოს,
კრძალვით ვუმზერ, ხმას არვინ მცემს საიღელოს, სასიამოს,

თავხრიღმა მყის მოძმეთ ლანღებს მოწიწებით ღავეთხოვე
და ეს ბნელი არე-მარე წყნარად, უხმოდ მივაგოვე.
იმის შემღევ სული მიკრთის, გულს ბაღღამის შხამი ღაგავს.
მე საღამო ასე შავი; არც მახსოვს და არც მინახავს!